



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 291

01/02/2018

ქალაქი ბათუმი

291-05-4-201802011640



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „ლადა“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2017 წლის 09 ოქტომბრის №223 ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფასების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 04 იანვრის №2 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 100-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და მერიის პირველი მოადგილის ზვიად ხალვაშის 2018 წლის 1 თებერვლის №334-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „ლადა“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2017 წლის 09 ოქტომბრის №223 ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფასების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 04 იანვრის №2 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების აქტის გამოცემის საერთო ვადა განისაზღვროს ორი თვე.

2. შ.პ.ს „ლადა“-ს ექსპერტიზის დასკვნის წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა 10 დღე, 2018 წლის 12 თებერვალი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

